

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

ამოცანა 4.3.3

ამოცანა 4.3.3. არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მზადების ხელშეწყობა, გარდამავალი მენეჯმენტის დახვეწა

ამოცანის შესრულების პროგრესი: 50%

შეფასება:

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice, UNICEF-ის და “ციხის საერთაშორისო რეფორმის” მონაწილეობით, შემუშავების პროცესშია არასრულწლოვნებისთვის რისკებისა და საჭიროებების შეფასების სპეციფიკური ინსტრუმენტი, რომელიც ასევე მოიცავს გარდამავალი მენეჯმენტის კონცეფციას - არასრულწლოვნის შემთხვევის მართვა დაიწყება პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლისთანავე და გაგრძელდება პრობაციასა და მის გარეთ.

გათავისუფლებისთვის მომზადების კონცეფცია ასევე შემუშავებულია და ამჟამად შიდაუწყებრივი განხილვის პროცესშია.

აქტივობა 4.3.3.1. გარდამავალი მენეჯმენტის გადახედვა და ცვლილება საჭიროების შემთხვევაში

პასუხისმგებელი უწყება:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ინდიკატორი:

განახლებული გარდამავალი მენეჯმენტი;

გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

შეფასება

ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის პროექტის EU4Justice ხელშეწყობით ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით. განახლებული შემთხვევის მართვის კონცეფციის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით მუშაობა დაიწყება პენიტენციურ სისტემაში, გათავისუფლების შემდეგ მონაცემები გადაეცემა პრობაციის სისტემას.